სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება

29.08.2014 № 153

თბილისი

დოქტორანტურაში მიღების
გამოცხადების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, სტუ-ს დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ დებულების და სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2014 წლის 25 ივნისის № 1204 დადგენილების საფუძველზე, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2014 -2015 სასწავლო წელს სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს მიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამების სწავლების პირველ წელზე.
2. სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის წარმართვა დაევალოს სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსს დ.ბიბილეიშვილს;
3. საბუთების მიღება სადოქტორო პროგრამების შესაბამის ვაკანსიებზე განხორციელდეს ფაკულტეტებზე 2014 წლის 8 სექტემბრიდან 29 სექტემბრის ჩათვლით (იხ.დანართი).
4. განცხადებების რეგისტრაცია, არსებული წესის თანახმად, დაევალოს სტუ-ს კანცელარიის უფროსს ე. ოხანაშვილს;
5. გასაუბრება საფაკულტეტო დროებით კომისიაში ჩატარდეს 2014 წლის 2 და 3 ოქტომბერს.
6. ჩარიცხვის პროცესი დასრულდეს 2014 წლის 6 ოქტომბრამდე
7. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტის უფროსს ი.ლომიძეს.
8. ბრძანება გამოიკრას უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში და ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ს ვებგვერდზე.

რექტორი ა.ფრანგიშვილი

ვიზები:

რექტორის მოადგილე სასწავლო
დარგში ლ. კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის
უფროსი ი. ლომიძე

იურიდიული დეპარტამენტის
უფროსი ბ. მაისურაძე

დანართი

1. სამშენებლო ფაკულტეტი - სტუ-ს I კორპუსი, მე-4 სართული, ოთახი 430 ა
   საკონტაქტო ტელეფონი - 599 179823;

2. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი - სტუ-ს VIII კორპუსი, მე-4 სართული, ოთახი 410
   საკონტაქტო ტელეფონი - 593 393132

3. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი - სტუ-ს III კორპუსი, მე-2 სართული, ოთახი 306
   საკონტაქტო ტელეფონი - 238 00 50

4. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი - სტუ-ს II კორპუსი, მე-2 სართული, ოთახი 237
   საკონტაქტო ტელეფონი - 555 316468

5. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი - სტუ-ს I კორპუსი, მე-5 სართული, ოთახი 550 ა
   საკონტაქტო ტელეფონი - 236 40 35

6. არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი - სტუ-ს I კორპუსი, c კორპუსი, მე-4 სართული, ფაკულტეტის დეკანატი
   საკონტაქტო ტელეფონი - 574 443698

7. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი - სტუ-ს VI კორპუსი, მე-9 სართული , ოთახი 912 ა
   საკონტაქტო ტელეფონი - 599 177079

8. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი - სტუ-ს VI კორპუსი, მე-3 სართული , ოთახი 303 ა
   საკონტაქტო ტელეფონი - 237 13 19;

9. აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი ადმინისტრაციული კორპუსი, მე-3 სართული, ოთახი 325
   საკონტაქტო ტელეფონი - 236 41 84